პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 274 (5075) | ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ

დღეს თბილისში იწყება საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ორგანოებში მეცხოველეობის დარგში მოქმედი კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება.

სიკვდილი ხალხის უსაზიზღრეს მტრებს, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებს, სოციალისტური სამშობლოს მოღალატეებს!

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მაღლა გვეჭიროს კომუნიზმის უძლეველი დროშა!

ხალხის მტრები უნდა შეიმუსრონ

დაიწყო საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ორგანოებში მეცხოველეობის დარგში მომქმედი კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლება.

ბრალდებულთა სკამზე სხედან ხალხის უსაზიზღრესი, უსაშინელესი, უბოროტესი მტრები: გ. უ. მასხარაშვილი, ვ. თ. ბასილია, მ. ს. კუტუბიძე, მ. დ. კორძახია, მ. ა. კაგარლიცკი, ბ. პ. შენგელია, კ. ე. შანიძე, ლ. ს. კიკნაძე და ნ. მ. ჩოხელი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი უდიდეს აღშფოთებას და გულისწყრომას გამოსთქვამენ სოციალისტური სამშობლოს მოღალატეთა, ტროცკისტულ - ბუხარინულ ჯაშუშ-დივერსანტთა ბანდის მიმართ. საბრალდებო დასკვნა, რომელიც დღეს ქვეყნდება, შლის შემაძრწუნებელ სურათს იმ გამცემლური, დამანგრეველი, მავნებლური მოქმედებისა, რომელსაც ეს საზიზღარი ბანდა ეწეოდა.

ხალხის ეს უბოროტესი მტრები, საქართველოს მიწსახკომის ორგანოებში მეცხოველეობის დარგში მომქმედი გარეწრები მიზნად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალიზმის აღდგენას, საქართველოს ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან და ბურჟუაზიულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს" შექმნას ერთერთი უცხო სახელმწიფოს პროტექტორატით. ისინი მიზნად ისახავდნენ მზიანი საქართველოს ბედნიერი ხალხებისათვის დაედგათ მონობის მძიმე უღელი, ჩვენი აყვავებული ქვეყანა გაეხადნათ პირსისხლიანი ფაშიზმის კოლონიად.

ამ მიზნების განსახორციელებლად ბანდიტთა ეს ხროვა დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეცხოველეობაში, ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგში. ისინი არაფერს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა, ხელოვნურად შეექმნათ უკმაყოფილება მოსახლეობაში. ფაშისტური სახელმწიფოების ეს საზიზღარი აგენტები მჭიდრო კავშირში იყვნენ უცხოელ დაზვერვასთან და ცდილობდნენ მოემზადებინათ პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის, ფაშისტური ინტერვენციისათვის.

ხალხის ეს საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. მუშათა კლასის დიქტატურის ფხიზელმა თვალმა, საქართველოს შინსახკომმა, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გამოამჟღავნა პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა ხროვა და მზის სინათლეზე გამოიტანა მათი შავბნელი მოქმედება.

მავნებლობის, დივერსიისა და შპიონაჟის პროგრამის შესასრულებლად მეცხოველეობის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ ცალკე სავეტერინარო დაწესებულებებში შექმნა თავისი უჯრედები, რომელთა მავნებლურ მუშაობას ხელმძღვანელობდა ეგრეთწოდებული დარგობრივი ცენტრი. ხალხის ეს საზიზღარი მტრები ცდილობდნენ ასეთი ცენტრების რიცხვი გაემრავლებინათ, რომ მათი საშუალებით ფართოდ გაევრცელებინათ ცხოველთა სხვადასხვა გადამდები სნეულებანი.

მთელი ჩვენი ხალხის აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევს საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი გარეწარ დ. ვ. ახმეტელის ჩვენება:

„პროფესორმა ი. ლ. ჯანდიერმა წინადადება მომცა, იმ შემთხვევისათვის, თუ მოხდება სსრ კავშირისა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი, ვყოფილვიყავით მზად ისეთი ეპიზოოტიურ სნეულებათა საყოველთაო გავრცელების ორგანიზაციისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ქოთაო, ციმბირის წყლული, ღორისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჭირი, ცხვრების ყვავილი და სხვ.".

ხალხის ეს საზიზღარი მტრები მეცხოველეობის სრული განადგურების განხორციელებისათვის ბაქტერიოლოგიურ დივერსიას მიმართავდნენ, დივერსია მდგომარეობდა იმაში, რომ გაძლიერებული ყოფილიყო ეპიზოოტიური დაავადებანი იმუნიტეტის მქონე პირუტყვის რიცხვის შემცირების გზით.

მეცხოველეობის დარგში დივერსიულ-მავნებლური მუშაობა მიმართული იყო იმ ღონისძიებათა ჩაშლისაკენ, რომელთაც ახორციელებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის ამ დარგში. მავნებლები ცდილობდნენ საბჭოთა მეურნეობებში და განსაკუთრებით კოლმეურნეობებში ჩაეშალათ პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

ვინ ჩამოსთვლის, რამდენი ზიანი მიაყენეს საზიზღარმა ბანდიტებმა— მასხარაშვილმა, ბასილიამ, კუტუბიძემ და სხვებმა საქართველოს სოციალისტურ მეცხოველეობას! ისინი დაუზოგავად ანადგურებდნენ პირუტყვს. ეს საზიზღარი მტრები ცდილობდნენ გაეტარებინათ ყველა ღონისძიება, რაც კი აყვავებული საქართველოს ბედნიერ ხალხს ეკონომიურად შეავიწროვებდა, ხორცის მწვავე ნაკლებობას შექმნიდა და ხალხში და ჯარის ნაწილებში უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

მათი ბინძური ზრახვები გამოაშკარავდა. საქართველოს მშრომელები მტრის გამოლაშქრების საპასუხოდ კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის გარშემო. ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხალხი უფლებას არავის არ მისცემს ბინძური ხელი შეახოს დიადი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს. ვაი იმათ, ვინც შეეცდება ხელი შეგვიშალოს წინსვლაში, ყველა იმათ გაანადგურებს და მოსპობს ძლევამოსილი მუშათა კლასის დიქტატურა.

ხალხის ამ საზიზღარი მტრების გასამართლებისას ჩვენი თავისუფალი ქვეყნის მშრომელნი ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან ამ ბანდიტთა ვერაგობასა და გამცემლობაში, მათთვის კიდევ უფრო ნათელი გახდება ამ საზიზღარ ქვეწარმავალთა მოქმედების ხერხები და მეთოდები. მთელი ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს ცოფიანი ძაღლების ფიზიკურ მოსპობას.

არავითარ ძალას არ შეუძლია შეარყიოს ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის სიძლიერე. ჩვენი წინსვლისა და ახალი გამარჯვებების გზას ანათებს მზე დიადი სტალინური კონსტიტუციისა, ჩვენს ხალხს წინ მიუძღვის კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ჩვენი საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი.** დიდი ზეიმით, შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთებით და ბოლშევიკური სიფხიზლის კიდევ მეტი გამახვილებით ხვდება ჩვენი ხალხი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს.

საქართველოს ბოლშევიკებმა ურყევი სტალინელის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით გაანადგურეს ხალხის საზიზღარი მტრები და სპობენ მათ ნაბოლარებს. ბედნიერი ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღის ხმას მისცემს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს მუშათა კლასის დიქტატურა და მოპოვებულ იქნას კომუნიზმის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები.

ს. მ. კიროვის ძეგლის გახსნა

1 დეკემბერს — ტროცკისტულ-ზინოვიევური ფაშისტური ბანდის მიერ სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის—სერგეი მირონის-ძე კიროვის საზიზღარი მკვლელობის მესამე წლისთავზე, თბილისში, მისი სახელობის პარკში, მოხდა დაუვიწყარი ს. მ. კიროვის ძეგლის გახსნა.

საღამოს 5 საათისათვის ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რაიონიდან ს. მ. კიროვის სახ. კულტურის პარკისაკენ დაიძრნენ ათიათასობით მშრომელები.

მიტინგი გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. მ. გვიშიანმა.

— ამხანაგებო, — ამბობს იგი, მიმართავს რა შეკრებილთ, — ეს მიტინგი მიეძღვნა დაუვიწყარი ს. მ. კიროვის — საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილის, ლენინ - სტალინის პარტიის საქმისათვის ერთგული მებრძოლის, იმ ადამიანის ძეგლის გახსნას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სოციალიზმის მშენებლობას შესწირა.

საზიზღარმა ბანდიტებმა, ტროცკისტ-ბუხარინელმა მკვლელებმა, — განაგრძობს ამხ. მ. გვიშიანი,—ხელიდან გამოგვტაცეს ძვირფასი მირონიჩი. მაგრამ პარტიის რიგები არ შემცრკალა. პარტია და ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ დიდი სტალინის ირგვლივ.

ჩვენი ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით ხალხმა გაანადგურა მტრის ბუდეები.

დღეს ჩვენ ვხსნით ს. მ. კიროვის ძეგლს იმ პარკში, რომელიც მის დიდებულ სახელს ატარებს.

პირველ სიტყვას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების სახელით ღებულობს ამხ. პ. შარია. შემდეგ გამოდიან სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მასხარაშვილი, № 2 სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსი გიორგოლი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირიდან—პოეტი მოსაშვილი, რომელმაც წაიკითხა დაუვიწყარი ს. მ. კიროვისადმი მიძღვნილი ლექსი. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი ქალი აგაშინაშვილი და № ლეგიონის წითელარმიელი ამხ. წითლიძე.

მიტინგი დამთავრებულია. დამსწრენი უყურებენ ძეგლს, რომელიც გამოხატავს სერგეი მირონის-ძეს ტრიბუნასთან.

ძეგლი გამოაქანდაკა მოქანდაკე კ. მერაბიშვილმა. ძეგლის სიმაღლე 6 მეტრია. ს. მ. კიროვის ბიუსტი დადგმულია ოთხმეტრიან კვარცხლბეკზე. (საქდესი).

საბრალდებო დასკვნა

საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ორგანოებში მეცხოველეობის დარგში მოქმედი კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა

გ. უ. მასხარაშვილის, ვ. თ. ბასილიას, მ. ს. კუტუბიძის, მ. დ. კორძახიას, მ. ა. კაგარლიცკის, ბ. პ. შენგელიას, კ. ე. შანიძის, ლ. ს. კიკნაძის და ნ. მ. ჩოხელის

საქმის გამო, რომელთაც ბრალად ედებათ საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1-a}, $19-58^{2}$, 58^{7} და 58^{11} მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი

საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომმა 1937 წელს აღმოაჩინა და ლიკვიდაცია უყო საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის სისტემაში მოქმედ დივერსიულ-მავნებლურ, ჯაშუშურ - საააჯანყებო ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობას, საქართველოს ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და საქართველოს „დამოუკიდებელი" ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას ერთერთი უცხო სახელმწიფოს პროტექტორატით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აქტიურ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეცხოველეობაში, იმ მიზნით, რომ ძირი გამოეთხარა ქვეყნის ეკონომიკისათვის, ხელოვნურად შეექმნა უკმაყოფილება მოსახლეობაში და მოემზადებინა პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის, რაც შეფარდებული უნდა ყოფილიყო იმ მომენტისათვის, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები სამხედრო თავდასხმას მოაწყობდნენ სსრ კავშირზე.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მეცხოველეობაში, რასაც სათავეში ედგნენ ი. ლ. **ჯანდიერი** და დ. ვ. **ახმეტელი,** პირველად დაარსდა და ყალიბდებოდა 1925-26 წლებში, ხოლო საბოლოოდ გაფორმდა 1927 წელს და გაიჩინა თავისი ცენტრი.

როგორც კი ჩამოყალიბდა საქართველოში მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ცენტრი, რომელმაც გაშალა აქტიური დივერსიულ - მავნებლური მუშაობა სოფლის მეურნეობაში, კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მეცხოველეობის დარგში უმჭიდროესი კონტაქტი დაამყარა ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან და შემდგომ თავის ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებდა ამ უკანასკნელის მითითებებით.

საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალებით სავსებით დასტურდება კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყველა მონაწილის აქტიური კონტრრევოლუციური მუშაობა.

ორგანიზაციის ერთერთმა აქტიურმა წევრმა ბრალდებულმა **მ. დ. კორძახიამ** აჩვენა შემდეგი:

„**ახმეტელმა ლეონიძის** თანდასწრებით მიამბო, რომ საქართველოში არსებობს არალეგალური ორგანიზაცია, რომელშიაც შედის ძველი ვეტექიმების უმეტესობა; ამ ორგანიზაციას მიზნად დაუსახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოში ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. **ახმეტელმა** მითხრა, რომ ამ მიმართულებით მუშაობენ სხვა არალეგალური ორგანიზაციებიც. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზანს ვეტერინარიის ხაზით, როგორც **ახმეტელმა** გადმომცა, შეადგენს მეცხოველეობის დარგში ძირგამომთხრელი დივერსიულ - მავნებლური მუშაობა, მიმართული იმ ღონისძიებათა ჩაშლისაკენ, რომელთაც იღებს საბჭოთა ხელისუფლება და საქ. კ. პ. (ბ) სახალხო მეურნეობის ამ დარგის განსავითარებლად, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების დაშლისაკენ და გლეხობაში უკმაყოფილების შექმნისაკენ".

ასეთსავე ჩვენებას იძლევა ამ საქმეზე ბრალდებული **გ. უ. მასხარაშვილი:**

„**ახმეტელმა** მაცნობა, რომ საქართველოში არსებობს არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და რომ ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ატარებს მავნებლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, იმედოვნებს რა, რომ მას დაეხმარებიან კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებმაც უნდა მოახდინონ ინტერვენცია".

ამგვარსავე ჩვენებას იძლევა ბრალდებული **კ. ე. შანიძე:**

„კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციას, რომელშიაც მე ვიღებდი მონაწილეობას, დასახული ჰქონდა შემდეგი კონტრრევოლუციური ამოცანები:

1. ანტისაბჭოთა ფართო აგიტაციის წარმოება.
2. მდარეხარისხიანი, ბაქტერიებით მოწამლული ხორცით მოსახლეობისა და წითელი არმიის მომარაგების ორგანიზაცია.
3. ფართო დივერსიულ - მავნებლური მუშაობის წარმოება მეცხოველეობის დარგში.
4. კაპიტალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მთელი საქონლის ქოთაოთი, ციმბირის წყლულით და სხვ. დაავადების ორგანიზაცია.
5. შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ინტერვენციის დახმარებით არსებული საბჭოთა წესწყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა".

იგივე აჩვენა ბრალდებულმა **ვ. თ. ბასილიამაც:**

„კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრადაც მე ვიყავი, თავის საბოლოო მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას. ამ მიზნის მისაღწევად კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ გაშალა მეცხოველეობაში აქტიური დივერსიულ-მავნებლური მუშაობა, რათა გამქრალიყო ხორცი, შეფერხებულიყო სასოფლო - სამეურნეო მუშაობა, ძირი გამოსთხროდა გლეხობის კეთილდღეობას, და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოწვეული ყოფილიყო პროვოკაციული აჯანყება, რისთვისაც მხარი უნდა დაეჭირა ყველა ანტისაბჭოთა ელემენტს. ნაგულისხმევი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება გახდებოდა სიგნალი უცხოელი ინტერვენტებისათვის საბჭოთა კავშირზე სამხედრო შეტევის დასაწყებად, რის შედეგად სსრ კავშირს ჩამოშორდებოდა ცალკეული ტერიტორიები, მათ შორის საქართველოც, სადაც დამყარდებოდა კაპიტალისტური წესწყობილება. დასახული პროგრამის შესასრულებლად კონტრრევოლუციურმა მავნებლურმა ორგანიზაციამ ცალკე სავეტერინარო დაწესებულებებში შექმნა თავისი უჯრედები, რომელთა მავნებლურ მუშაობას წარმართავდა და მეთაურობდა ეგრეთწოდებული დარგობრივი ცენტრი".

ამ საკითხზე, თუ როდის წარმოიშვა მეცხოველეობის დარგში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, ბრალდებულმა **ბ. პ. შენგელიამ** აჩვენა:

„კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე პირველად ჩამაბა, კარგად არ მახსოვს, 1924 თუ 1925 წელს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ვეტექიმმა ვლადიმერ **ლაშხაურმა**".

„**ლაშხაური** ჩემთან ცალკეული საუბრების დროს მწვავედ გამოსთქვამდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ერთხელ, 1924 თუ 1925 წელს, **ლაშხაურმა** ერთი ამგვარი ბაასის დროს გამოსთქვა აზრი ვეტექიმების არალეგალური ორგანიზაციის დაარსების შესახებ; ეს ორგანიზაცია გაატარებდა მეცხოველეობაში მავნებლურ მუშაობას, იმ ანგარიშით, რომ ჩაეშალა ღონისძიებანი, გატარებული საკ. კ. პ. (ბ) და ხელისუფლების მიერ სახალხო მეურნეობის ამ დარგის განსამტკიცებლად, და შეექმნა სიძნელეები მომხმარებლებისათვის ხორცის მიწოდების საქმეში, ერთი მხრით მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამოსაწვევად და, მეორე მხრით, სახელმწიფოსათვის ზიანის მისაყენებლად. ამასთან დაკავშირებით **ლაშხაურმა** მე, როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც დიდი ნაცნობობა აქვს ვეტექიმებში, წინადადება მომცა შემერჩია ამათგან ყველაზე უფრო სანდო და ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო პირები და ჩამება ისინი მავნებლურ მუშაობაში მეცხოველეობის ხაზით. **ლაშხაურის** ამ წინადადებას მე დავეთანხმე".

ამის შესახებ **ვ. თ. ბასილიამ** აჩვენა:

„საქართველოს მეცხოველეობაში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრადაც მე შემდეგში გავხდი, ჩაისახა 1926 წელს თბილისში და ეს ჩასახვა დაკავშირებულია მოსკოვიდან ზოოტექნიკოსის პროფესორ ილია ლევანის-ძე **ჯანდიერის** ჩამოსვლასთან. პროფესორმა **ჯანდიერმა** მავნებლური გეგმების გატარების მიზნით, სპეციალისტ ზოოტექნიკოსების რიცხვიდან ჩამოაყალიბა ანტისაბჭოთა და ნაციონალისტურად განწყობილ პირთა ჯგუფი. რამდენადაც მეცხოველეობა დაკავშირებულია ვეტერინარიასთან, **ჯანდიერმა** ჩააბა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობაში ვეტერინარული მუშაკებიც".

ამის შესახებ ბრალდებულმა **გ. უ. მასხარაშვილმა** აჩვენა:

„მე კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი ვარ 1926 წლიდან. ამ ორგანიზაციაში ჩამაბა სამტრესტის ვეტექიმმა თევდორე თომას-ძე **ცინცაძემ**. ჩემი ჩაბმის გარემოება ასეთი იყო: **ცინცაძეს** მე ვიცნობ 1900 წლიდან, როდესაც ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში, მასთან კარგი ამხანაგური ურთიერთობა მქონდა, დავდიოდით ერთიმეორის ბინებზე და გულახდილად ვლაპარაკობდით ერთმანეთთან. 1926 წელს ზაფხულში რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი **ცინცაძეს** და შევედით ლუდის დასალევად. სასადილოში ცინცაძემ მითხრა, რომ საქართველოში 1925 წლიდან არსებობს არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლას და კაპიტალიზმის აღდგენას. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ატარებს მავნებლურ მუშაობას მეცხოველეობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. **ცინცაძემ** იქვე მომცა წინადადება შევსულიყავი აღნიშნულ ორგანიზაციაში და მეწარმოებინა მავნებლური მუშაობა, რაზედაც მე დავთანხმდი".

ბრალდებულთა აღიარებით გამოირკვა, რომ კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მეცხოველეობის დარგში გაფორმება დაიწყო ჯერ კიდევ 1925 წელს და 1933 წლამდე მოქმედებდა თავისი დარგობრივი ცენტრის ხელმძღვანელობით, 1933 წლიდან კი ამ ორგანიზაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაცია.

ამ საკითხის შესახებ ბრალდებულმა **ვ. თ. ბასილიამ** აჩვენა:

„კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიერ მეცხოველეობის დარგში გასატარებელი მავნებლური ღონისძიებების კოორდინაციისა და ეფექტიანობის მიზნით პროფესორი ილია ლევანის-ძე **ჯანდიერის** მეთაურობით დაარსებულ იქნა ეგრეთწოდებული დარგობრივი ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ:

1. საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს ყოფილი უფროსი დავით ვასილის-ძე **ახმეტელი.**
2. საქართველოს ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტის ყოფ. დირექტორი ლევან **ლეონიძე.**
3. ვეტეპიზოოტიის განყ. ყოფ. მუშაკი გალაქტიონ **მასხარაშვილი.**
4. სამტრესტის ყოფილი ვეტინსპექტორი **ცინცაძე.**

ამასთან პროფესორი **ჯანდიერი** უშუალოდ ხელმძღვანელობდა მავნებლურ მუშაობას ზოოტექნიკის ხაზით, **ახმეტელი** — მთელი ვეტერინარიის ხაზით.

მასხარაშვილი — ყოფილი ვეტმომარაგება — მრეწველობისა და უშუალოდ ეპიზოოტიასთან ბრძოლის ხაზით, **ცინცაძე** სამტრესტის ხაზით და **ლეონიძე** — მეცნიერულ - საგამოკვლევო ხაზით. ამასთანავე **ლეონიძემ** „ევსის" (ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტი) ხაზით მავნებლურ მუშაობაში ჩააბა ამავე ინსტიტუტის მუშაკი მოსე არკადის-ძე **კაგარლიცკი.**

ამას ადასტურებს აგრეთვე ბრალდებული **გ. უ. მასხარაშვილიც:**

„საქართველოს მეცხოველეობაში მთელ კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრი, რომლის შემადგენლობაში 1933 წელს შედიოდნენ შემდეგი პირები:

1. **ჯანდიერი** ილია ლევანის-ძე, პროფესორი, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ზოოტექნიკური სადგურის ყოფ. გამგე.
2. **ახმეტელი** დავით ვასილის-ძე, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ვეტსამმართველოს ყოფ. უფროსი.
3. **ლეონიძე** ლევან ნიკოლოზის-ძე, ვეტექიმი, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის „ევსის" ყოფილი დირექტორი.
4. **ცინცაძე** თევდორე თომას-ძე, ვეტექიმი, სამტრესტის ყოფ. ინსპექტორი.
5. მე, **მასხარაშვილი** გალაქტიონ ჭარამანის-ძე.

აღნიშნული დარგობრივი ცენტრის შემადგენლობაში მე შეყვანილ ვიქენ 1930 წელს. როდის დაარსდა ეს ცენტრი, არ ვიცი. ვიცი კი, რომ იგი დაარსებული იყო ჩემ გადმოყვანამდე ქუთაისიდან თბილისში.

დარგობრივი ცენტრის წევრებს შორის მუშაობა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

1. **დ. ვ. ახმეტელი** ხელმძღვანელობდა მთელ მავნებლურ მუშაობას საქართველოს მეცხოველეობის დარგში.
2. **ლ. ნ. ლეონიძე** ხელმძღვანელობდა მავნებლურ მუშაობას „ევსის" ხაზით.
3. **თ. თ. ცინცაძე** ხელმძღვანელობდა მავნებლობას სამტრესტის ხაზით.
4. მე, **გ. უ. მასხარაშვილი** ვხელმძღვანელობდი მავნებლობას ვეტმომარაგების ხაზით.
5. **ი. ლ. ჯანდიერი დ. ახმეტელთან** ერთად სათავეში ედგა მავნებლობას მეცხოველეობის დარგში.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია განსაკუთრებული აქტივობით ეწეოდა თავის ძირგამომთხრელ მუშაობას საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისაკენ იყო მიმართული.

ამის შესახებ ბრალდებული **ვ. თ. ბასილია** იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„გალაქტიონ **მასხარაშვილი** მეუბნებოდა, რომ თუ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში ბოლომდე იქნება გატარებული, მაშინ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ოცნებას კერძო საკუთრების დაბრუნებაზე და იქვე დასძინა, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა მეცხოველეობაში ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოება იმ ანგარიშით, რომ გამოიწვიოთ აღნიშნულ ღონისძიებათა სრული კომპრომეტირება და ჩაშლა.

„1929 წლიდან კონტრრევოლუციური ორგანიზაცია შეუდგა აქტიურ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას იმ ანგარიშით, რომ ხელი შეეშალა საკ. კ. პ. (ბ)-ის და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიზნით იმ დროს მიღებული უმნიშვნელოვანეს ღონისძიებების წარმატებით დაბოლოებისათვის".

1933-34 წლებში მეცხოველეობაში კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი რეპრესირებულ იქნა საქართველოს ყოფ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიერ კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ აღნიშნულმა პირებმა, იქნენ რა საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტრები, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ განაახლეს თავისი აქტიური კონტრრევოლუციური მუშაობა.

ამ საკითხის შესახებ ბრალდებულმა **მასხარაშვილმა** აჩვენა:

„...პატიმრობიდან ჩემი განთავისუფლების შემდეგ 1934 წელში (მე დაპატიმრებული ვიყავი მეცხოველეობაში არსებულ კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის), მე განვაახლე კონტრრევოლუციური მუშაობა და ვეწეოდი მას 1936 წლის ივნისამდე, როდესაც მე ავადმყოფობის გამო დავანებე სამსახურს თავი და გადავედი პენსიაზე".

„ივნისის თვეში მე ჩამოვედი საბჭოთა მეურნეობიდან თბილისში მედიკამენტების შესაძენად. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საქვეტმომარაგების საწყობის სადგომში ჩელუსკინელების ქუჩაზე, სადაც მედიკამენტები უნდა მიმეღო, მე კვლავ შევხვდი **დ. ვ. ახმეტელს,** რომელიც აგრეთვე მოსულიყო მედიკამენტებისათვის; სანამ ნაყიდ მედიკამენტებს შეფუთავდნენ, ჩვენ გამოვედით ქუჩაში და დავიწყეთ ლაპარაკი. **ახმეტელმა** ლაპარაკის დროს გამოიჩინა მეტად მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და სთქვა, რომ საჭიროა ბრძოლის განგრძობა და მავნებლური მუშაობის წინანდებურად წარმოება; მან განაცხადა, რომ მავნებლური ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ დაპატიმრებული, განთავისუფლების შემდეგ კვლავ განაახლეს კონტრრევოლუციური მუშაობა. **ახმეტელმა** კერძოდ დაასახელა ლევან **ლეონიძე** და თევდორე **ცინცაძე.** დანარჩენ პირთა გვარები არ დაუსახელებია. სთქვა მხოლოდ, რომ ყველა დანარჩენებიც აწარმოებენ მავნებლურ მუშაობასო, მე გვარები არ გამომიკითხავს, რადგანაც სრულიად ნათელი იყო, რომ **ახმეტელი** იქ ჰგულისხმობდა ილია ლევანის-ძე **ჯანდიერს,** ვლადიმერ თეიმურაზის-ძე **ბასილიას** და ალექსანდრე ბეჟიას-ძე **გურგენიძეს,** რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ დაპატიმრებული და შემდეგ განთავისუფლებული. **ახმეტელის** ყველა ნათქვამს მე სავსებით დავუჭირე მხარი და მოვუწონე, ვინაიდან მე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ვიყავი განწყობილი და მეც საჭიროდ მიმაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და კონტრრევოლუციური მუშაობა. აი ამგვარი განწყობილებით გავეცი პასუხი **ახმეტელს.** მან მითხრა, რომ მავნებლური მუშაობა სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, აქტიურად მიმდინარეობსო, და წინადადება მომცა, მეც გამეწია მავნებლობა ჩემს პრაქტიკულ მუშაობაში. მე დავთანხმდი".

ამასვე ადასტურებს ბრალდებული **ვ. თ. ბასილიაც:**

„პატიმრობიდან ჩემი განთავისუფლების შემდეგ, მე 1935 წელს რამდენჯერმე შევხვდი დავით **ახმეტელს.** 1935 წლის დამლევს ერთერთი შეხვედრის დროს, ქუჩაში, მისი სახლის ახლოს, ჩვენ შორის გაიმართა ბაასი საერთო თემებზე. ამ ბაასის დროს მან მითხრა, რომ მეცხოველეობაში მავნებლური ორგანიზაცია განაგრძობს არსებობას და მუშაობას, და რომ მის შემადგენლობაში არიან მავნებლური ორგანიზაციის ძველი წევრებიო, ამასთან, რამდენადაც მახსოვს, დაასახელა ვეტექიმი მიხეილ დიმიტრის-ძე **კორძახია,** რომელიც მუშაობდა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოში. **ახმეტელმა** იმ ბაასის დროსვე მითხრა, რომ ვეტერინარიაში არსებული მავნებლური ორგანიზაციის ყველა ის მონაწილე, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ დაპატიმრებული 1933 — 1934 წლებში, მათ შორის მეც, ვლადიმერ **ბასილიაც** უკეთ უნდა შევკავშირდეთ და შევუდგეთ აქტიური, მავნებლური მუშაობის გატარებასო. ამასთან ერთად **ახმეტელმა** მაცნობა, რომ მავნებლურ ორგანიზაციას კავშირი აქვს საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთანო და საუბრის დამთავრებისას წინადადება მომცა, კვლავ დამეწყო მავნებლური მუშაობა. **ახმეტელის** ამ წინადადებას მე დავეთანხმე. ამრიგად, 1935 წლის ბოლო გახდა ჩემი კონტრრევოლუციური მუშაობის განახლების მომენტად".

სხვა საქმეზე ბრალდებულმა ვეტექიმმა ლ. ი. ბონჩ-ბრუევიჩმა აჩვენა:

„1934 წლის თებერვალში პატიმრობიდან ჩემი განთავისუფლების შემდეგ, მე ხანგრძლივ თავს ვიკავებდი კონტრრევოლუციონერებთან კავშირის განახლებისაგან, თუმცა წინანდებურად ანტისაბჭოთა შეხედულებისა ვიყავი; მხოლოდ 1936 წ. მე ხელახლად შევიერთდი იმავე კონტრრევოლუციურ-მავნებლურ ორგანიზაციას, ე. ი. დავუკავშირდი დავით **ახმეტელს** და მისი მითითებებით ვაწარმოებდი მავნებლურ მუშაობას".

„დავით **ახმეტელთან** ჩემი კონტრრევოლუციური კავშირის განახლება 1936 წელს შემდეგ გარემოებებში მოხდა:

„1936 წ. ზაფხულზე, შვებულების გამოყენების მიზნით, მე წავედი ბათუმში; იქ ზღვის სანაპირო ბულვარზე შემხვდა დავით **ახმეტელი,** რომელიც იმ დროს მსახურობდა ა.-კ. რკინიგზის ვეტსანუბნის უფროსად ქ. ბათუმში. ჩვენ, როგორც ძველმა ნაცნობებმა, მაშინვე დავიწყეთ გულახდილი ბაასი პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე და, ვინაიდან ჩვენ ერთიდაიმავე ანტისაბჭოთა შეხედულებებისა ვიყავით, პირველსავე ბაასში **ახმეტელმა** განმიცხადა, რომ იგი ძველებურად განაგრძობს კონტრრევოლუციურ-მავნებლურ მუშაობას და ძველებურად არის საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სისტემაში არსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი. ამის შემდეგ მან წინადადება მომცა მეწარმოებინა მავნებლური მუშაობა, რაზედაც მე თანხმობა განვუცხადე".

ამ საკითხის შესახებ სხვა საქმეზე ბრალდებულმა დ. ვ. **ახმეტელმა** აჩვენა:

„კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის მუშაობის გაშლა პატიმრობიდან ჩვენი განთავისუფლების შემდეგ 1934 წელს შემდეგნაირად მოხდა: 1935 წელს, დაახლოებით თებერვალში ან მარტში, მე ქ. თბილისში, ლენინის ქუჩაზე, შემთხვევით შევხვდი პროფესორ **ი. ლ. ჯანდიერს.** იგი დაინტერესებული იყო იმით, თუ სად მუშაობენ განთავისუფლებული ვეტექიმები, რომლებსაც

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲐ

(ᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ მᲘᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. რამდენადაც საკითხი ეხებოდა ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობას, **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** სთქვა, რომ ამაზე მას სორო იცქთან ლაპარაკი თავის ბინაზე. მეორე დღეს, როცა მი მიეკით მასთან ბინაზე, ი. ლ. **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** დამიწყო გამოკითხვა, თუ როგორია ელნიშნული ვიტიქმების განწყობილება, რის კეთებას ვფიქრობთ ჩვენ მომავალში და როდესაც დარწმუნდა, რომ სახ. პოლიტსამმართველოში პატიმრობას ვერ შეიკეთებ ჩემი კონტრრევოლუციური შეხვედრისა, ბაასი ანტისაბჭოთა თემებზე გადაატანა ბოლოს პირდაპირ მომეცა წინადადება განმეგრძო ჩვენი კონტრრევოლუციური, ძირგამომთხრელი, მავნებელური მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგებში. **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** მითხრა, რომ დირექტორებს ის ძველებურად გასკეთებ ჩემი მეშვეობით, და რომ ამ მითითებების მისაღებად მე უნდა ვიარო მასთან ბინაზე. პროფესორი **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კონსპირაციის საჭიროებას და საკმარისად სთვლიდა, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მე მივიდოდი მასთან 3—4 თვეში ერთხელ. **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** მითხრა, რომ ის მხედველობაში იღებს იმ სიძნელეებს, რაც შემხდება მე ჩვენი კონტრრევოლუციური მავნებელური ორგანიზაციის სხვადასხვა აგენტზე გავალენტო წვერ ვიტიქმიმეობის ხელმძღვანელობის საქმეში. მან მთხოვა მიმეღო ყველა ღონისძიება კავშირის გასაბმელად და ამით უზრუნველმეყო ჩემი ხელმძღვანელობა ორგანიზებული მავნებლობისაგან.

პროფესორმა **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** მირჩია მთავარი ყურადღება მიმექცია იმისათვის, რომ ჩემი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის თვითეულ წევრს ესმოდეთ ურეკეი რწმენა იმისა, რომ საჭიროა ძირგამომთხრელი მავნებელური მუშაობა; რაც შეეხება ჩვენებელური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ამაზე საკმარისად იყო ნათქვამი წინათ, მით უმეტეს, რომ მათთვის, როგორც ძველი გამოცდილი ვიტიქმიბისათვის, ეს საქმაოდ გასაგებია.

ვიზიარებ რა პროფესორ **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ** მიზნდასახულობას, მე მას დავეთანხმე ჩვენდამოდი მავნებელურ მუშაობას სათავეში ვეტერინარიის დარგში, დამეკონა კავშირი ჩვენი მავნებელური ორგანიზაციის წევრ ვეტექიმებთან. კონსპირაციის მიზნით, მე ვერიდებოდი ფოსტით ურთიერთობას და გადაგზავნიტე მათთან მოლაპარაკება მიწერამოებინა პირადად შეხვედრის დროს".

ანალოგიურ ჩვენებას იძლევა სხვა საქმეზე პასუხისგებაში მიკიმეული ი. ლ. **ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲐ**:

„მე სახ. პოლიტსამმართველოს ორგანოებმა დამპატიმრეს 1933 წელს; ბრალად მიდებოდა კონტრრევოლუციური - მავნებელური ორგანიზაცია ში მონაწილეობის მიღება. გამოძიების ქვეშ დავყავი 1934 წლამდე.

სახ. პოლიტსამმართველოში პატიმრობამ ვერ შეცვალა ჩემი კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა ბუნება და მე საჭიროდ მიმაჩნია საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის დასაჩქარებლად მე დავიასახე ამოცანად: საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია მოსახლეობის თვალში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში ანტიაბჭოთა განწყობილების განვითარება; ამასთან ერთად ჩემს უშუალო მიზნის შედეგებად მავნებელურ-დივერსიული მუშაობა ზოოტექნიკის, აგრონომის, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგებში.

ამ მიზნის მისაღწევად მე გადავწყვიტე დამეფორა კავშირი პატიმრობიდან განთავისუფლებულ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებთან და განმეახლებინა ჩემი მავნებელური მუშაობა". წინასწარი გამოძიებით გამოირკვა ავრეთვე, რომ, როგორც ზემოთთა აღნიშნული, კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მეცხოველეობის დარგში შეჭიდროება კავშირი დაიჭირა მავნებელური ანტისაბჭოთა ტერორისტულ ორგანიზაციასთან და ამ უკანასკნელის დირექტივებით აწარმოებდა თავის დივერსიულ-მავნებელურ მუშაობას, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მეცხოველეობის ფინ. **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐ** და ამავე კომისარიატის სპეციალური სამმართველოს ყოფ. უფროსი, ამ საჭიროს ბრალდებული **ᲛᲐᲗᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐ**.

„1933 წლის დასასრულ მე დამიძახა თავის კაბინეტში მიწათმოქმედების სახ. კომისარის ყოფ. მოადგილემ **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ** და მითხრა, რომ მე მაწესებენ პასუხისმგებელ ადმინისტრატორად ეპიზოოტიის დარგში. მე უარი ვუთხარი და განვუცხადე, რომ ვერ დავიწყებ ამ სამუშაოს, მაგრამ **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐ** წინადადება მომცა დავთანხმებულიყავი, თანაც მითხრა, რომ მან იცის ჩემი მავნებელური მუშაობა მეცხოველეობაში და ამიტომ მნიშვნელ ფაფანაშმდებობაზე. ამასთან **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ** სთქვა, რომ იგი არის ძველი ტროცკისტი და ვანაჯრძობს ტროცკისტული მუშაობას, კერძოდ ძირგამომთხრელ მავნებელურ მუშაობას მეცხოველეობაში, რისი-თვისაც მას სჭირდება ხალხი, და წინადადება მომეცა შემესრულებინა ყველა მისი მავნებელური დავალება, თანაც გამაფრთხილა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე არ დავთანხმებდობდი, ის მე გამისწორებდა. მე დავთანხმდი და შემდეგში მქონდა კავშირი მავნებლობის საქმეში **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ** და ვასრულებდი ყველა მის დავალებას".

ამავე საკითხის შესახებ ბრალდებული ვ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲛ აჩვენა:

„1934 წლის ზაფხულში თუ გაზაფხულის დამლევს **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐ** დამიბარა მიწათმოქმედების სახკომისარიატში თავის კაბინეტში და მითხრა, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მე დანიენ შეიგარ ჩუშენებოლის მოადგილედ დასაყენეთ საქართველოს მსხვილფეხა რქიან საქონელზე მოდებული ფილტვების ანთებასთან ბრძოლის ხაზით. ამ ბაასის დროს **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ** განმიცხადა, რომ საქართველოში არსებობს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიც შედიან მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები. ეს ორგანიზაცია აწარმოებს ბრძოლას სკ. კ. პ. (ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ამასთან **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ** დაასახელა ამ ორგანიზაციის მონაწილედ თავისი თავი და მიწათმოქმედების ყოფილი სახ. კომისარი შ. **ᲛᲐᲗᲘᲐᲜᲘᲫᲔ**. შემდეგ **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐ**, განაგრძო რა თავისი ბაასი ჩემთან, წინადადება მომეცი ჩემი მიეღინებინა დასაყენო საქართველოში გამომეყენებინა მეცხოველეობისათვის ზიანის მისაყენებლად, დაავადებული საქონლის ირსაწორი მკურნალობის გზით. **ᲒᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ** ამ წინადადებას მე დავეთანხმე".

ანალოგიურ ჩვენებას იძლევა ბრალდებული **Ვ. Თ. ᲑᲐᲚᲘᲫᲔ**.

„1934 წლის დამლევიდან მე ვეტექიმად ვეფუშაობდი წალენჯიხაზე. ერთხელ, თბილისში საქმიანობისა მიწათმოქმედების სახკომისარიატში მეელინების დროს, მე სამსახურის საქმეებზე შეეგიარე მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საეკონომიკო სამმართველოს უფროსთან მათე **ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔᲗᲐᲜ**. სამსახურის საქმიანობე ლაპარაკეს პროცესში **ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔᲛ** მითხრა, რომ საქართველოში არსებობს და მუშაობს ვეტექიმებისაგან შემდგარი კონტრრევოლუციური მავნებელური ორგანიზაცია, რომელსაც თავის ამოცანად დასახული აქვს მეცხოველეობაში მავნებელური მუშაობა, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის ძირის გამოთხრა; ამასთან **ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔᲛ** წინადადება მომეცი მიმეღო მონაწილეობა აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობაში. **ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔᲡ** წინადადებას მე დავეთანხმე და დავპირდი მას ხელის შეწყობას".

ბრალდებულმა **მ. ს. ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔ** მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში თავისი მონაწილეობის შესახებ აჩვენა:

